

დისოციაციური გამოცდილებების კვლევა სტუდენტების პოპულაციაში

ნონა ტაბატაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო*

*უნივერსიტეტის ფსიქიკური ჯანმრთელობის ფაკულტეტზე*

*ფსიქოტრავმატოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების*

*მოთხოვნის შესაბამისად.*

პროგრამა ფსიქიკური ჯანმრთელობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო მახაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2015

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნონა ტაბატაძე

## აბსტრაქტი

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა დისოციაციური გამოცდილებების კვლევა სტუდენტების პოპულაციაში. პარალელურად მიმდინარეობდა პოსტტრავმული სტრესული აშლილობის (პტსა) პრევალენტურობის კვლევა იმავე ადამიანებთან, რომლებიც მონაწილეობდნენ დისოციაციის კვლევაში; შესაბამისად, საშუალება მოგვეცა, რომ გამოგვეთვალა კორელაცია დისოციაციასა და პტსა-ს სიმპტომებს შორის.

კვლევაში მონაწილეობდა 97 ადამიანი, აქედან 74 - ქალი, 23 - კაცი (საშუალო ასაკი - 22 წელი). კითხვარი google forms - ის მეშვეობით გაკეთდა და გაშვებული იყო ერთი კვირის განმავლობაში ელექტრონულად, შემთხვევითი შერჩევით სხვა და სხვა უნივერსიტეტის სტუდენტებთან, კვლევაში მონაწილეობა იყო ნებაყოფლობითი. გამოვიყენეთ დისოციაციის შეფასების შკალა (DES) და ასევე მეორე კითხვარი - პტსა (პოსტ-ტრავმული სტრესული აშლილობის) საზომი PCL-5, ზემოთ ხსენებული ორი კითხვარის მეშვეობით გვსურდა დაგვედგინა თუ რამდენად მაღალია დისოციაციისა და პტსა-ს მაჩვენებელი ქართველი სტუდენტების პოპულაციაში, და კორელაცია ამ აშლილობებს შორის, ასევე გვინტერესებდა ისეთი ფაქტორები, როგორცაა გენდერული, ასაკობრივი და ოჯახური მდგომარეობის მაჩვენებელები.

კვლევის შედეგად გამოვლინდა დისოციაციის საშუალო მაჩვენებელი -11%, ასევე - კავშირი დისოციაციასა და პოსტ-ტრავმულ სტრესულ აშლილობას შორის - 45%, დისოციაციის შკალაზე(DES) გამოიკვეთა მაღალი და დაბალი მაჩვენებლის მქონე შეკითხვები, მცირე გენდერული სხვაობა მონაცემებს შორის, ოჯახური მდგომარეობის, დისოციაციისა და პტსა-ს შესაძლო კავშირი, რადგან ორივე კითხვარში ყველაზე მაღალი ქულების მქონე 5 ადამიანიდან 2 იყო განქორწინებული.

## მადლობა

დიდი მადლობა კვლევის სამეცნიერო ხელმძღვანელს ქ-ნ ნინო მახაშვილს, ილიას უნივერსიტეტის ფსიქიკური ჯანმრთელობის რესურს ცენტრს და კვლევაში მონაწილე ყველა პირს გაწეული დახმარებისთვის.